



**შემოსავლების  
სამსახური**

თბილისი 0114, გორგასლის ქ. 16  
ტელ: +995 (32) 226 11 19, +995 (32) 226 11 85  
ელ. ფოსტა: info@rs.ge  
ვებ საიტი: www.rs.ge

**საბაჟო დეპარტამენტი**

115215-21-10-2-201707281718

N 21-10/115215



28/07/2017

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების  
პროგრამის კოორდინატორს  
ბატონ ვახტანგ კობალაძეს


ბატონო ვახტანგ,

თქვენი მიმდინარე წლის 24 ივლისის N 174389/01 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება საქართველოს ბაზარზე არსებულ ზოგიერთ სუნელ-სანელებელში მძიმე მეტალების გადაჭარბებული რაოდენობით აღმოჩენას, გაცნობებთ, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ არაცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლის ვალდებულება დადგენილია საქართველოს მთავრობის N 567 დადგენილებით „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დადგენილების მე-2 მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კონტროლის პროცედურები გავრცელდეს სურსათის/ცხოველის საკვების კონკრეტულ სახეობებზე, რომლებიც განისაზღვრება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციისა და რეკომენდაციის გათვალისწინებით, რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან იმპორტირებულ სუნელ-სანელებლებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადდა ტენდერი შესაბამისი ლაბორატორიული კვლევის შესყიდვისათვის. ლაბორატორიული კვლევის შესყიდვის შემდგომ მოხდება სასაქონლო პარტიებიდან ნიმუშის აღება, ხოლო ტვირთი შეჩერდება დასკვნის მიღებამდე. ლაბორატორიული გამოცდის ოქმში არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში ტვირთი დაექვემდებარება უკან გაბრუნებას ან განადგურებას.

პატივისცემით,

გიორგი კობეშვიძე



საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი